





კალმასობა.

ପାତ୍ର-

Digitized by Google

ପତ୍ରକଳୀ



38596

ერთი. არცარა ჩვენ წინაპართა იცოდნენ რა. ითანგ ხელა-შეილი. ამ ქვეყანას რაც გაე-შეობოდა, ისინივე გვჯობდნენ ჩვენ. საქმი-თაც და ვაჟეთაცობითაც. კალმასობა

კალმასობა

ხალხი, ოომელიც მადალის ნიჭიერებით ჩრის შემკული, რომ
შელსაც ისტორიულის ცხოვრებით უცხოვდა, და მრავალი გახსა
ცდები გამოუწიდა, ის ხალხი უსედურების ქაშს აღმოიჩინს წების
და ხსიათის მდგრადს. ასე დაუწესება ბუნების და ძის მაგალითები
უწებს თვით ისტორიაცა.

ამგვარ ხალხსთა შორის უნდა შეირჩეოს ჩვენი ქვეყანა. მე-
ოს საკუთხით საქართველო და კუნძულები ურჩაშა. მოხვდეთ
უძღვებ იმს რშოოოებებს თურქი, სპარსი და ლეპი. ის იყდი კუნ-
სამ სამეფოდ და ხეთის სამთავროდ, ომძღვანობა შორის სუსტდება
გვაშირი. უპირველესი მაზრა ზემო-ქართლი ახლ საათაბაგო სრულე-
ბათ წარმოშენა, ასტუდება შიხაური აღორევობა, ერთი-ერთმან-
უტერობა, ტევეთა ტაცება და გასუიდება. ადამიანის მოსაზრე-
ბით, საქართველოს ბოლო უნდა მოდებიყო: შესახიშხავი კერძობ-
ითხი ბირნი უნდა განწყლილებულიერება; მთელს ხალხს დაეკარგ-
ს სულის ძალა; სარწმუნოება შერდებულიყო; მიდრეკილება სწავლისა და მი-
მართლიერება; სიტევერება სრულებით დაცემულიყო. მაგრამ არა, —

აუგის მოყვარეობა და სულის სიმტკიცე ძველადგანები შე-
ჩენის ტომის უპირველესს ღირსებასა, და ეს იყო
რომ ამერ-იმერნი არას დროს არა ვის არ დაჭმონავებიან.
მცირნი მრავალ-ჯერ სძლევდნენ და დაიჭირდნენ საქართვე-
ლას, მაგრამ ხანგრძლივია აუ დაიფეხდნებას ვერა წმედავდნენ, რადგა-
ნი კარგად იცოდნენ, რომ ქართველნი განტოლებით მთების სი-
ცეცხლში, მოსიგნებას არ მისცემდნენ იმათა. თუმცა ჩენი ძევება
ასახულებო მეჩვიდმეტე და მეოვრამეტე საუკუნეებში აურაცხელა
ედვრულებას მიუცემა, ვინამდე წარსულს საუკუნოებში, მაგრამ ამა-
თანავე ის ადმოისენს მრავალთა სამაგალითო ღირსებათა. აღმო-
ვიბრწყინდებან წარჩინებული მეომარნი, შესანიშნავი მწერალი, რ
ა მიმზიდაობა სიტევიერებისადმი. სარწმუნოება შეურუებელად
სუფეს. მთელი ტომი-თავად აზნაურობა და დაბალი ხალხი არ
აუგარდებან ერთი-ერთმანეთსა ბრძოლაში მამულისათვის. ისინი
აარწმუნებული არან, რომ სასიკვდილოდ იღვწიან, მაგრამ სასო-
რიკვათილებას არ მიერემიან. ისინი გვიჩენებენ ხამდვილს ახორე-
ნას და სასწაულებრივთა საქმეთა; ისინი გაკირებაში მოიგეანენ
ტერთაცა და ეკროპიელთაცა, რომელთაც საკუთარის თვალით უნა-
ხავთ იმათი მოღვაწეობა. გილოგი XI, ქართლის ბატონი, მირვეისს
რომ ებრძოდა ავგანისტანში, ერთი დედაქაცი, რომელმაც ქრის-
ტიკებით იზღვია 80 ავგანთ მოკვდით საკუთარის ხელით, ამათი
საშემახა აგვიწერა ერთმა იუზუიტმა კრუზინსკიმა, აგრეთვე ეკროპის
აკტორთა დაგვატიეს ცნობანი შემდეგთა ახორენთა პირთა ზედა;
გილოგი სავაჭრზედ და იმის შვილზედ, თვამურაზე მეორეზედ და
ირაკლი მეორეზედ. ვის არ მოსმენა, რა სიტევა წარმოსთვეს
ტრიდრის დიდმა? შესანიშნავი პირი ამ დროისა ერთი მე კარლ,
შეორე ირაკლით. თვით რუსეთის იმპერატორიცა ეკატერინე მეორე
კასაოცარ მეომარ შირად წარმოადგენს იმას მიწერ-მოწერაში კო-
რტერთან. ვის არ ამოუკითხავს, რომ ასახსოთა და ასმალთაგან
არავლი იყო წოდებული „აშენეულ ლომად“, რომ შაჟ-ნადირის სი-

კვლელის შემდეგ შიშობდენ, სპარსეთის ტახტი ირაკლიმ ჩოუ-
ჭირასო? ომდენჯერ მომხდარა, რომ 2000 ქათველთ წელს
20,000 მტერი სრულებით უძლევიათ? სარწმუნოება?... მთელი გ-
ვანა იყო განცვითრებულ ჩემი წინაპერთ სიმტკიცითა სკულზედ
და დაცვითა თვისის აღსარებისა. მოვიგონოთ, რომ უპირველეს
რესეთის მფლოდელ-მთავარი, მოსკოვისა მიტროპოლიტი ჭილარე
ტი, რესეთის მართლმადიდებლობის დასმტკიცებულება უჩენები
ჩემის ეპილესიასა, რომელიც შეურეველად წიგისო მეოთხის სა
უკუნით. როდესაც კი უჯეროება რამ შემოუწეოდა ქართველ
ეპილესიაში ანუ ზნეობითსწესდებულებაში, უოგელოვის მეოქნი
მომწევდნებ კრებათა, და აღმოჩეოცავდენ უწესოებათა. უკანასკნე
ლი კრება იყო ირაკლის დროს. კერც მეცადინეობა მაჭადიან
თა, კერც მეცადინეობა კათოლიკოთა, გერ შეიძლებდნენ ჩემის სა
რწმუნოების შერუებისა. ფრანცუზის მწერალი შარდენ გვიაშბობს
რომ როდესაც კი სპარსი ხელ-უოფლენენ მეჩეთის შენებასა ტფი
ლასში, იმათ ქვებით თურმე ამოჩეოცდნენ ქალაქის მცხოვრებნი
მოვიხსენოთ, როგორ განსდეგნეს საქართველოდამ თემურაზი
დროს კათოლიკოსი ანტონი I, როდესაც იმას დასწამეს კათოლიკე
აღსარების მიღება. არა რა შეგიწოება არ შეაუენებდა ქართველ
თა, რომ მზრუნველობა არ ექონიათ თავიანთ მონასტრებისათვის
შეფერისაში და საბერძნებში. ჩემნი მამანი და დედინი, იარაღით
ხელში, დაუკოვნებლივ შეასრულებდნენ თავიანთ მოგზაურობასა იუ-
რუსალიმს, მაშინ როდესაც ეკროპიელთ ქრისტიანები დიდად ში-
შიბდნენ მისვლა-მოსვლას. სკულისათვის მრავალთ ქართველთ მო-
უთმენიათ ტანჯესნი, რომელიც ედრიან პირველ საუკუნეთ ქრის-
ტიანეთ წამებათა. მოვიგონოთ კახთ-დედოფლის ქეთვანის სიგდი-
ლი სპარსეთში. დაუკერებული იქნებოდა იმისი ტანჯეს, რომ თვით
კათოლიკოთ მისისონერთ თვალ-წინ არ მომხდარიყო და იმათვე და-
წვდილებით არ აეწერათ. იმ დროსვე შეირიცხნენ მოსავთა შორის

არჩელ და ლუარსაბ, თავადნი—პიძინა ჩოლაფაშვილი, ელიზ-
აბაშვილის ქსნის ერისთავის შვილები.

ღელვით სავსე ცხოვრებამ ვერ განაჭარეა ქართველებში ცნობი-
ლა და სწავლის-მოუკარება. ვიცით რა პატივისცემა და შემწეობა მია-
ის ირაკლიმ, გიორგიმ და სოლომონ შირველმა, ბატონი-შვილთა
თავად-ზნაურთა ეკროპის მეცნიერთა გულდენშტეტსა და ოე-
სეგსა, ომელინც კავკასიის ადსაწერად იყვნენ წარმოგზავნილნი. ვი-
ცით, რა მიწერ-მოწერა ჭქონდათ იმათთანა, რა გვარად ქსარგებლო-
დებ იმათის ცოდნითა, ოფერ მოიწვევდნენ, ომ ჩენს ქვეყანაში
ასახლებულიყვნენ! თვითეულს მოგვსმენა, რა პატივს უჩვენებდნენ
საჭართველოში მურავთა შატრთა, ომელთავანაც მიიღებდნენ, ო-
რორათაც სასწავლთა ექიმებთაგან სასარგებლო სამსახურსა და აგ-
რეთვე მეცნიერებრივსა ხელთ-მძღვანელობასა. ქართველებს ჭქონდათ
აკეთარი შვილები ტფილისში, თელავში და დიდს მონისტრებში.
შენ უკველთ ვიცით, რა იყო თელავის სემენარია, დაფუძნებული ან-
ტონი შირველის დროს, გაიღზ თაყაშვილისაგან, ან ვინ იყო და-
კით რეკტორი. ამ სასწავლებლებში მიიღეს მოკავლთა თავად-ზნაურ-
ობა და სამღვდელოთა სადმრთო და საერო სწავლა. ვიცით ორდენ-
ისმე გვამინი, ომელთაც სამსედრო და არტილერიის სწავლა მიიღეს
აუსეთში, და იმათის შემწეობით ირაკლიმ დამაფუძნა სამსედრო ხე-
ლოვნება და არტილერია. ერთმა ისწავლა თვით ანგლიაში: ეს იყო
შავარა გახტანგ მეფის შვილი; შეტრე დიდის დროს რუსეთის არ-
ტილერიის თავი იყო იყო ჩენი მეფის არჩილის შვილი. თვით ასმა-
ლების ფლოტის დამაფუძნებელი იყო ქართველი, ომლისაც გვარი
ავენ არ ვიცით. იუნენ იმისთანანცა, ომელთაც ცოდნის შესა-
სრულებლად მიმოიარეს მთელი ეკროპა და უკუმცევის შემდეგ შრომია
დასდეს სასარგებლოდ ჩენის სიტყვიერებასა. ზოგნი იმათგნნი ჩენ
შეირ ცნობილ არიან. ისინი მიიღებდნენ მონაწილეობასა ბრძოლებში
და ამ ბრძოლათა თვითანგე აღწერდნენ. აი გამოჩენილნი იმათ შო-
რის: ფარსადან გიორგიჭანიძე, სეხნია ჩენიძე, შეპუნა ორბელიანი,

ომან სერხეულიძე. ამ მწერალთ შრომაქი დაბეჭდილებია ქართულათაც და ჭრანტუზულათაც. იმათ თქმულებაში გამომეტეველებს განუსაზღვრებელი სიკერული მამულისადმი და მინდობილება ზეციურის მფარველობისადმი. ისეთნი მწერალნიც აღმობრწყინდნენ, რომელთაც აღმოჩინეს უპირველესი ნიჭიერება და კრცელი მეცნიერება, რომელთა შორის ზოგიერთთ მობროვეს კეროპიული მნიშვნელობა იგინი არან—გასტრანგ VI, გასუშტი, ანტონ I, არჩოებისკომისი გაიღზ, ტიმოთე გაბა-შვილი ქართლის მდგვდელ-მთავარი, საბა არბელანი, ბესიკი გაბაშვილი. ჩვენ უგელამ ვიცით, რა შრომა არის გასტრანგის „ქართლის-ცხოვრება“ და მისი „სჯული“, გასუშტის „გეოგრაფია“ და გეომორბდითი მოთხრობანი საქართველო-მექრეთის სამეფოებზედ და სამთავროებზედ, ანტონის მსოფლიო საგნების განმარტებანი და თარგმნილებანი რუსულით და ლათინურით, ტიმოთეს მოგზაურობა პალესტინაში, გაიღზის მრავალი თარგმნილებანი, საბას პროზა, ლექსინი და ჩინებული ლექსიკონი, და ბესიკის მშენებელი ლექსიბი, დააღ განვრცელებული სალეში. გამეორებით გოტევი, რომ ამ მწერლებზედა ჩვენ უკველთა გვაჭვს ცნობა. მაგრამ იყო ერთი კაცი, რომელიც უპირველესისაც ნიჭით იყო შემკიბილი, როგორათაც მოსხესენებული მეცნიერნი, და რომელმაც დაგვიტევა ისეთი თხზულება, რომ ამ გვარი ჯერ საქართველოს არა ჭრინა. ჩვენ განხილთ ითანე ბატონიშვილზედ და იმის „გალმასობაზედ.“

ითანე იყო მე უკანასკნელის ქართლის-გახეთის მეფის გიორგისა და იმისი პრეველის მეუღლისა, ქეთევან ანდონივაშვილის ასულისა. ითანე დაიბადა 1772 წელსა. ის იყო რვას წლისა, როდესაც მოუკვდა დედა. მთელი ითანეს ცხოვრება იყოვა არ ნაწილად: პირველი განატარა სამშობლოში, მეორე რუსეთში. საქართველოში ითანეს არა ჭრინა მოსკოვება დაუცხოობილი მოიახობათაგამო. ისმალინი, სპარსინი და ლევინი აუწერელის მცრობით იყვნენ მომდგარნი ჩვენზედა. საქართველოში აღარ იყო დაშთენილი არც

ერთი პუთხე, ორმ ლექების გროვა არ ყოფილიყო. იმათ იწოდნენ კუნელ ადგილის მდებარება და უოუელ გზები; გამოიღებდა რა ტუ ფოთოლსა, ისინი ჩამოიპარებოდნენ დადისტნით და ასალცისის მხრით და დაქმნევოდნენ აქა-იქა. ჩვენ წინაპართ დაად დადი სი-ფორთხილე ემსრთათ. ჩვენდა სანუგეშოდ უნდა კსოვჭათ, ორმ მთელი ხალხით — დიდი და მცირენი მდგიმარეთ იუნენ. თვით ბატონიშვილები, მანამდისინ განსეთქმილება არ ჩამოუყარდათ, მაგალითს უჩვენებდნენ ტახტსა და მამულის ერთგულებაში. ბატონიშვილებთა შორის ჰირგელთაგანი იყო ითანე. აი შემოკლებით საქმეები, ორმეტეშიანი ის აღმოჩნდა ისტორიულ პირად. იმერეთში დავით ებრძოდა სოლომონს, და უკანასკნელმა მოითხოვა ამერთაგან შემწეობა. ეს იყო 1790 წელსა; იქ წარიგზავნა არტილერიით ითანე, რომელ მაც დაამშვიდა აღელვებული მხარე და სრული წარმატება მოიპოვა. 1795 წ. ტფილისის აღების დროს ადა-მაჭმად ხანისაგან, ითანე ახოვანებდ ეკლეთა აბანოებთან სპარსთა და შეაუენა იგინი. ამითი ითანემ მიაგო ირაკლის შემთხვევა ქალაჭით გასკლისათვის. ტფილისით სპარსთა გუნდი განიგზავნენ ქრთლის ასახსრებლად და აჭ ლამის-ენას ითანემ გაჭირება და უკუაჭრა. 1796 წ. ორდესაც ამარხან, ნურალის შვილი და მემკვიდრე, ავარიის ხანი დაეცა ში-ზდესა ლეკის ჯარითა, ითანემ დახმო სიმაგრე და იძულებულებულ ამარხანის ლაშქრის უგუმრევა. 1798 წ. ითანე დირბში დაქსხმის ლეკთა, მოჭირავს იმათ სრულებით და მოუკლავს წარჩინებულს ბე-ლადნის ალი-ფოლადისა. იმავე წელსა, გიორგი მეფის ბრძანებით; ითანე დავითთურთ განემზგზავრებას ყარსისაკენ 2000-ს კაცითა, მოა-ხრებენ ყაზილ-ჩახახის გარეშე-დგრილთა და ნატუგებით მოიქცე-ვიან სამშობლოს. 1799 წ. ითანე და ბაგრატ გახეთის წერძოთა და 600 რესის სალდათითა სძლევენ ნიახურაში ამარხანსა და იმისს 10,000 მეტართა. იმავე წელს ითანე და ბაგრატ იღრის პირზე ეჭვისის ზარბაზნითა და 2000 კაცითა, ორმეტნიც იუნენ შემდგარნი გახთა და თუშთაგან, შეჭმუსრვენ 12,000 ლეკთა წინა-

მძღვანელობასა ქვეშე ომარისავე, ომელისაც მიემსრება ალექსანდრე ბატონიშვილი; ომარხანი დაიკოდება. იმპერატორი პავლე, ომელისაც წარგზავნილ იქმნა ორი სატუპერი დროშა, დააკიდებულის თოთავე მმათა, იოანეს და ბაგრატის, წმინდის იოანეს კომანდორის თადანითა. 1800 წ. ოდეს გორგად მეფე მიეცვლება და იმის მაგიერ ბატონისა მიეცემა დაკითხა, იმისი ბძები, იულის და ვასტანგ გულნაკლუტი ამ განკარგულებით განივლტკას მთებში და აღმრგვენ გაკვასიელთა. იმათ დაამშეიდებს იოანე.

იოანე იყო 28 წლისა, ოდესაც მოუკვდა მამა. 9-ს მარტსა 1801 წ. ბატონიშვილი — იოანე, ბაგრატ და მახებალ განემზადების რეზენტში, თან-ხლებული რაოდენობაშე თავადაზნაურთა და მოსელეთა, მსოლოდ მოზღვებში სცნობენ პავლე იმპერატორის სიკვდილს. იოანეს ესვა ცოლად ქეთევან, ასული ზურაბ წერეთლისა, ომელიც დიალ გამოჩენილი კაცი იყო იმერთა სამეფოში. იოანემ დაწყო რუსეთში 38 წელი და გარდაიცვალა 15-ს ფებრვალს, 1839 წ. 67-ის წლისა, იმან დასტოვა ერთი კაჯი გრიგოლ, ომელიც შეკულეა ბარიარე ბუკრისის და ომელისაც დაშოთა ქალ-კაჯი: იოანე და ქეთევან. იოანე სცხოვრებს პეტერბურგში: ქეთევან ჰევას საქართველოს თავადს სუმბათა-შვილსა.

ხანგრძლივი იოანე ბატონიშვილის ცხოვრება რუსეთში არ იყო უქმი. იმან შეისრულა რაცემ სწავლა აკლდა და აღმოჩნდა მეცნიერ კაცად. იოანემ დაგვიტია, როგორათაც ზემოდ კსოვებით, შესანიშნავი თხეზულება, ომელისაც ეწოდება „კალმასობა“ — (კალმასობა ჭიშნავს პეტერბურგში და დავინის მოთხოვნისა მონასტრისათვის კალორბას და ოთველში) ომელიც განიუღვება ორ წიგნად.

ჩეკენ ხელშია მხოლოდ პირებელი წიგნი, თითქმის თხხასის სრულის ფურცლით შემდგარ, ომელიც შეიცავს მთელს მეთვრა-მეტის საუკუნის ამიერთა ქვეუნის გამოხატულებასა და მსოფლიო მეცნიერებათა.

„კალმასობაში“ თავდა-პირებელადვე, ესე იგი 1798 წ. ავტორს

გამოჭებულ საკალმასოდ ქვაბთა-ხევის მონასტრის იშოდიაკვანი ითანე
ხელა-შვილი. ხელა-შვილი შეუდგება ამ საქმეს თავისს წინამძღვრის
ღოსითებს ფიცხელაურის ბძანებითა, ომელიც შემდეგ იყო არხი-
ეპისკოპოსად და ომელზედაც მოჭებულის თვითონეულს ქართველისა.
ითანე ხელა-შვილმა მიიღო სწავლა თელავის სემენარიაში, სადაც
მიძარებულ იქმნა თვით ითანე ბატონი-შვილისაგან და რესელი
ენაც იცოდა, ოდგან რესელში დაჭურ მრავალი წელი. ის იყო
აზნაურთაგანი, ქიზიების მსარიდგან, სოფლით კაქირით. განემგზა-
ვობა რა გრისკენ, იბრდიაკვანი მდრესის მინდოლში შეჭხდება
ერთს გორის მცხოვრებთაგანსა, ზურაბ დამბარა-შვილისა და ეს
ორინი ჰირნი ერთი-მეორეს აღარ მოჭეორდებიან. ზურაბ არის დააღ
სასიამოკნო მოუბარდ და საკვირველი ასუნჯი. ითანე და ზურაბ
მოიკლიან მთელს ქართლსა: აქედგან წაკლენ კახეთს, ქიზიეს და
შემდეგ მიწაროვენ სომხეთისკენ, საიდამაც უკუიქცევან ტფილისში.
აი სოფლები, სადაც ჩვენნი მეკალმასენი შევლენ: ხიდის-თავი, სკოა,
ხელურეთი, ქარელი, ჭალა, საშური, სურამი, მაგინი, რუსი, გორი,
ცხინვალი, მეჯვრისხევი, ჭალა, მუხრანი, მცხეთა, მარტყოფი, საშმი,
თელავი, ლალისური, ალვანი, ენისელი, საბუე, შილდა, უკარელი,
ფაშანი, კელისციხე, გურჯანი, ზირკოვი, კარდანასი, კაქირი, სი-
ლნალი, მანავი, ყარბალეასი, ნორით, მარაბდა, საბოზეურო, ბორ-
ჩალო, ახტალა, მისხანი, სხნანი, ასფათა, სადახლე, უკლარი, ბა-
იდარი, დემურჩალი, კაშლოვანი, ტფილისი. ამ მოგზაურობაში
ითანე ხელა-შვილი ხშირად გამოგვისტავს ადგილობრივთა მდები-
არებათა, იმათის მცენარების თვისებათა, აღგვიწერს სხვა და სხვა
შენობათა: კრცლად გვანბობს ტფილისზედ და მცხეთაზედ; გა-
გაცნობს ხალხის სასიათსა და ჩვეულებათა. ჩვენ დაად ადგილად
მიკავდებით — სად არის ხელა-შვილი და ვის ემუსაივება, მიკავდე-
ბით, ომ ა ეს არის ქართლელი, ეს კახელი, ეს ქიზიუელი და
ეს თუში ანუ ფშაველი; ამას ცხოველად გვიანბობენ იმათის ენის
გამოთქმა და საუბარი, მიხერა-მოხვრა და ზნეობითნი თვისებანი.

თთქმის არ არის არც ერთი იმ მხარეთ გვარი, არც ერთი ~~შე~~
სანიშნავი მეტვარამეტის საუკუნის შირი, რომ არ იყოს გამოყვანი-
ლი. „კალმასობაში“ ხშირად არიან ნაჩვენები გვართა შთამამავლობა
და იმათი ისტორიული სამსახური, ადგილი იმათის ცხოვრებისა,
და იმათი სასაფლაოები. აი რა შირნი არიან გამოყვანილნი: მღვდე-
ლი კოშორიძე, ვიზაც ანდრია სალოსი, გორგი და ნიკოლოზ
ციციშვილები (ნიკოლოზ თელავის სემენარიაში იყო ნასწავლი),
ლევან აბაშიძე და შავეა ლოჭანიშვიძე, მამუკა ხიდიშვილი-შვილი, ქა-
ისისრო მურვანი-შვილი, მიმაშიამირევიძე, მიტორშოლიტი მრო-
ველი, მამაცა-შვილები, მაჩაბლები, გორგი და გოდა ამილახვერები,
გორგი ქსნის-ერისთავები იოანე მესრანბატონი, ზაალ ზურაბა-
შვილი, რუსთველი, ნათლის-მცემლის უდაბნოს წინამდგრადი, დავით
ოქტორი ალექსიძე, ქაისისრო ჩოლოეა-შვილი, იოანე ჯამშერ-
შვილი, ცისქარა-შვილი, გორგი აკალი-შვილი, დიდოს მოურავი
დიმიტრი, მღვდელი ზაქარია ლალის ხანი-შვილი, ხოდარიანები,
ელევთორ მოხელე, სულხან მდივანბეგი, ზაქარია ანდრონიკა-შვილი,
ხენია ერასტი-შვილი, ანჯოქ ბებური-შვილი, ხელა-შვილები, დოსთეოს
ფიცხელაური, ბოდელი ნინო წინძელები, არსენ ტფილელი, ეპა-
ტიანენე ეკიფლანი-შვილის ქალი, ჩოლოეა-შვილის ცოლი, მღვდელი
შეტრე ლარაძე, ირაკლი მეფის მასხარა ლთარიგა ხორიელი, მღვდე-
ლი ქრისტესია გევერა-შვილი, რომელსაც მოკელო ეგვიპტი, იე-
რუსალიმი და როდოსი, იარალი შანშაბა-შვილი, ზაალ ლოშე-
ლიანი, ნიკოლაოზ ლოშელიანი, ჩესტია ბაზიერთუხუცესი, მღვდე-
ლი ცოვურა-შვილი, ახტალის ეპისკოპოსი იოაკიმი, სოლომონ
არდუთაშვილი, ასლან ლოშელიანი, მღვდელი იოანე კალაუბნელი,
ომან ხერხელიძე, თამაზ ლოშელიანი და იასტოსი, კონსტანტინე
მესრანბატონი, აარონ და სოლომონ ალექსიძები, ვიზაც მეცნიერი
შრესიელი იოსებ იაკოვლევიჩი, ტფილისის შატრი ანდრია ხან-და-
ხან ერთნი და იგინივე გამოჩენილნი შირნი შეგებელებიან რამდენ-
ჯერმე სხვა-და-სხვა ადგილს. „კალმასობაში“ გაცნობთ მაშინდელ

შესანიშნავთ ექიმებთ: იღანე ყარაშვილისა და თათულას, აგრეთვე
იმათის ეჭიმიბის თვისებათა; გათწნობთ განთქმულთ მოლექსეთა და
მესაგრავეთა: ალაკერდასა და საათლამასა, აგრეთვე საექლესით მგა-
ლობელისა ლეონტი სალადა-შვილისა; შეიტყობთ, სად იუო სასწა-
ვლებლები და რა იუო ან რაგვარდ იუო დაფუძნებული თელავის
სემენარია, რა სასიათის და ცოდნის კაცი იუო დავით რეპტორი.
ამ შეადაში თვით იღანე სელა-შვილი გამოსცდის ეგზემისით
მოსწავლეთა, რამდენთამე გარეშე შირთ დასწრებით. „კალმასიაბაში“
ამოკითხსავთ — რა გრარ ცხოვრება ჭრონდათ ქართველთ ბერებთა,
რა შემოსავალი ან რა მამული ეკუთხნოდათ მონასტრებსა. — საუბარი
იღანე სელა-შვილისა სავსეა ზნებითის აზრებითა. „მისი ქადა-
გებაბეი შეიცვას ისტორიულთა და პოლიტიკურთა სწავლათა. ერთს
დროს დაიწყებს ლაპარაკსა ადზდაზედ და იმის საჭიროებაზედ,
მეორე დროს იღევის ბატონ-ემბაზედ — რა გრარ ერთგულება
ჭრითებით ემათა იმათ ბატონთადმი, როგორ უნდა ეპურიბოდნენ
მებატონები უმათა და რა მზრუნველობას უნდა მაგებდენენ
იმათ. იღანე გვაინიბის, როგორ იუგნენ ერთი-ერთმანეთთანა ქარ-
თველნი და სომეხნი, რა მიზეზი იუო იმათის განსეთქილებისა, რა-
ში მდგომარეობდა ქართველთ-სომეხთ სარწმუნოებრივნი ცელილება-
ნი, და ან თვით იმას რა აზრი აქვს ამ საგანზედ. ერთის სიტყვით,
ჩვენ ვხედავთ „კალმასიაბით“, რა სარისხზედ იდგა ზნებია და ცო-
დნა ჩვენთა წინაპრთა. იღანე არ ჭრის სიმართლის და
ჭეშმარიტების წარმოთქმასა. რასაკვირველია, ამას ბერი არ მოუ-
წონებს, მიზეზიც ეს არის, რომ უძელეული იპოდიავანი მოითქმებს
ხან შეურაცხებასა, ხან განდევნებას, ხან ცემასა; მაგრამ ბერი არა-
დეს არ მიეცემა სასოწარკვეთილებას და არც დასცემება. „კალმა-
სიაბში“ არან წარმოდგენილნი — მეფე ირაკლი, იმისი ხასიათი და
ცხოვრება, იმისი შვილები და შვილის-შვილები: გიორგი, იულიონ,
თეიმურაზ, ვახტანგ, ალექსანდრე, დავით; იღანე და ბაგრატ; არან
ნაამბობნი მაშინდელი ბრძოლანი ისმალებთან, სპარსებთან და ლე-

კებთან: სად რა ბოძოლა მოხდა, რა გვარად იყო საქმე, როგორ
გათავდა, ან ვინ იუგნენ წინამდებმი და მოხაწილენი, რა იყო ხალ-
ხის განსჯა იმაზედა. აქ სედავთ მოხელეთა, მოურავებთა, მდივანბე-
გბებთა, ეშვაბაშთა, სარდალთა. აქ შექსედებით ბაბაშ გეზირიძესა,
რომელმაც დღით სამსახური მიაგო ირაკლისა დესპანისთ ანუ ელ-
ჩობით სპარსეთის შაჰ-ქარუმხანთან და ოსმალეთში; შეხედებით გარ-
სევან ჭავჭავაძეს და იმის ამხანგთ დავით ჯიმშერი შეიღს, გიორგი
ავალიშვილს, ელიაზარ ფალეგანდი შეიღს და იმათ თარჯომანს სერგი
ლაშვილს, რომელიც რუსეთს გაიგზავნეს მოციქულებათა: თქვენ
იცით, რა რჩება იყო ამ საგანზედ სასახლეში, რა ინსტრუკცია მი-
ეცემათ დესპანთა და რას შეიცვავდა ტრაკტატი, საქართველომ რომ
წინა-დაუდო რუსეთის მმართველობასას. თქვენ დაქსწრობით გიორ-
გის ტახტზედ ასვლასა, იმის შემდეგ დავითის მოადგილობასა.
თქვენ სწერათ და გულ-მტკავნეულობას გრძნობთ, როდესაც ჭე-
დავთ ბატონი-შეიღების დაუმშვიდებელს განხეთქილებასა ერთი-მე-
ორესთანა და ამ შემთხვევისაგამო საქართველოს ჭმუნკასა; თქვენ
წარმოიდგენთ ჩვენის ქვეყნის ძელსა აღუკავდასა და შემძლებლო-
ბასა, ღდესაც იგი გასპინის ზღვით ვიდრე შავ ზღვამდე, კაგესაიდას
ქედით ვიდრე სპარსეთის სამზღვრამდე ერთს მჭიდროდ დამეურე-
ბულს სამეფოს შეადგენდა. შემდეგ თქვენ მოიგონებთ — ეს მშენი-
ერი სამეფო როგორ ცოტ-ცოტად იგლიჯება და იღვევა; თქვენ
ჭრებებით მხოლოდ იმით, რომ აქერ-იმერნი არა ჭეარგავენ არც
თავისს ხსიათის ძალასა, არც მიდრევილებასა მეცნიერებისადმი, არც
სარწმუნოებრივება და ზენობითას სიმტკიცესა; თქვენ გახსნებათ
გული, როდესაც ჭედავთ ბრწყინვალე პირთა, რომელიც მამულის
სიუფარულითა, სამსედრო ახოვნებითა და უღიელგართ მოღვაწეობი-
თა განაცვითორებენ აზიასა თუ ეპროცესის მფლობელთა და ხალხთა...

„კალმასობა“ დაღ შესანიშნავია მსოფლიო სწავლათა განმარ-
ტებთა. ზემოდ კსოვებით, რომ არ არის თითქმის მეცნიერება, რო-
მელსაც არ შეხებოდეს ირანე. უჩენოთ შემოკლებით თვითოვეუ-

ლის შეცბა; შექმნა ქვეყნისა, ღმერთი და იმის თვისებაები, საღმრ-
თო-წერილი რაოდენ ნაწილად განიყოფება; იმისნი მწერალენი: წინა-
სწარმეტყველნი, მოციქულნი, ძველი აღთქმა, ათ მცნება, ახალი
მცნება, ცხრა ნეტარება, შეიდი საიდუმლო, ანგელოზნი, მათნი მო-
კალებანი და ხარისხნი, ეშმაკი, ხატნი, მიზეზი მათის გარდამო-
ყრისა... მნიშვნელობა თეოლოგისა, ბუნებითი ღვთის მეტყველება,
კაცი რისგან და რამდენთ ნაწილთაგან არას შემდგარი, სული, თვი-
სებანი, ხუთი გრძნობა, აღბეჭდილებანი ნერგებთაგან, მოქმედება სუ-
ლისა, სმენა, შეთანასწორება საგანთა, გულის-ხმისუთი და მგრძნო-
ბელობა, სჯა, მიღროლვა, გამოხატულება საგანთა, გონება, მეხსი-
ერება, ნება, ძალი, ჩვეულებანი, გვამის მოძრაობა, სულის მოქმედე-
ბითა, იდეია ზენებრივთა მოქმედებათა... სარწმუნოებანი: სომეხნი
და იმათი ადსარება, დრო იმათის განტოლვისა, საგანი გახსეთქი-
ლებისა, გახსნავება მარხვაში, თვითოუელნი მარხვანი, ისტორია
მარხვათა, შირველად როდის არან მოცემულნი, შემდეგ როდის და-
ეწესნებ, კრებანი, რომელიც უარტყვეს სომეხთა; ერთობა ბუნებისა,
დამტკიცებანი წმინდათა მამათაგან—კათოლიკი; დაუტერი და
იმისი ადსარება; რეფორმანტნი, იაკობიტნი, ნესტორიილნი, თო-
მელნი, სტაროვერნი, ფარისეველნი, სადუკეველნი, მაჭმადი და იმი-
სი ჭიწავლა, განეოდა წარმართა, ცეცხლის-თაუკინისმცემელნი, ჭე-
შმარიტი სარწმუნოება, საეკლესიო ორარხია ანუ ხარისხნი: დაკა-
ნი, მღვდელი, არხიმანდრიტი, ეპისკოპოსი, არხიეპისკოპოსი, მიტ-
რობოლოტი, კათალიკოზი, პატრიარქი; მონაზონობა: მამათ-მონა-
ზონი და დედათ-მონაზონი, ძველთა დროთა მონასტრები; რო-
გორ ღოცეულობდნენ ბერნი; დაუძინებელნი მონასტრები... მითო-
ლოგია: იუბიტერი, ნეპტუნი, აზოლონი, მუზები, დიანა, მინერგა,
მარსი, ჰენერა, კულეპანი, ციკლოპნი, ეოლა, ცერენი, ბახუსი, მერ-
კური, ჰესტრი, მსოფლიო ღმერთი, ალექსანდრიულნი ღმერთი,
გმირნი, შერსეი, ბელერიფნი, გერვულესი, ატლასი, კოსტერი, პოლ-
ლეპი, იზონ—კოლხიდა, თეზეი, ახილესი... შვიდნი სასწავლი:

მაკზოლები, ტაძარი იერუსალიმისა, ტაძარი დიანისი, ზღვები-ლონისა, ტაძარი იუბილერისა, კოლოსი როდოსისა, პირამიდისა და ლაბირინტი ეგვიპტის... კოსმოგრაფია: ცა, ატმოსფერა, სამყარო, მზე, სიშროე, მოძრაობა, მთვარე, ცენტრილებანი მთვარისა, სიდიდე, მოქმედება დედა-მიწაზე. სხვა-და-სხვა გვარის ვარსკვლავნი: პლანეტა, ურანი, მოძრავნი პლანეტნი, კომეტა, მეტალები, ქვეყანა, სივრცე, ფიზიკა, მოძრაობა, დაბნელება მზისა და მთვარისა, თორმეტნი ზოდიაქნი... ქარები: ადმისავლეთ-ჩრდილოეთისა, წენარი, ცხელი, სამუშა, წინათვრმნობა ქარისა... მეტალები: სხვა-და-სხვა გვარის მეტალი, ისტორია, შემოღება მანათთა, მანათების გამოსატულებანი, სხვა-და-სხვა გვარის მანათნი: ქართულნი, ასმალურნი, ეფილურნი, ეპრობლებნი, რუსულნი, ფილოსოფიური ქა... დორი: წელიწადი, თთვე, დღე, სასთი, უამნი წელიწადისა, დღისა და დამისა გასწორება, არდალები, უდიდესნი დღები და დამები, უმცირესნი; რიცხვი დღეთ წელიწადში, მიზეზი, კალენდრები—იულიანური, გრიგოლიანური, რუსული, ლლიმპიადა, ეპთხა, იუბილები, ინდიკტიონი, კორონიკები, ზედნადები, ნიადაგი... მატემატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, დიფერენცია, უმაღლესი მატემატიკა, ფორმულიკა, ტაკტიკა, არტილერია, სამხედრო ერთაშოთა ანუ წესი... მედიცინა: მნიშვნელობა, სხვა-და-სხვა გვარი ექიმისა, მიზეზი სხეულებათა: ასატრომისა, ფიზიოლოგია, ჰატრალიგია, ტერაპია, მატერია მედიკებისათვის, ფარმაკოპია, აპტეკა, აკუშერობა, ბოტანიკა, ნატურალის ისტორია, რიცხვი პირუტყვითა და ფრინველთა... მისნობა: მნიშვნელობა, ისტორია, უბედურნი დღენი თვისისა, მნიშვნელობა თვითოულისა, როგორ უნდა შეიტყოს გაუი დაბადება, თუ ქალი, წინათ-ცნობას ცვდისა ამინდისა, მნიშვნელობანი სხვა-და-სხვათა მისნერთა ნიშანთა ქარები, ბუნებაში, პირუტყვებში და სხ... გრამმა-ტიკა ქართული, რომელიც კრცხვად არის დაწერილი... იურისპრუდენცია: დასჯვანი საქართველოში, გასტანგის ცენტრილებანი, ძირისებრობა, მისნი თვისებანი... ენები: უშესანიშნავეს ძევლი ენები: ბერ-

მული და ლათინური, ასედთა შორის ფრანციული, ანგლიური, ნებულური, დარსებანი თვითოულისა, ძველი მცნების ენა, ასედის მცნების ენა, ბერძელი. უამი თარგმნილობისა ებრუალით ბერძელზედ, რცხვი მოსეს წიგნთა. უმნელესი ენა: ჩინური, ანბანი, უძმომუბი, მწერლობა, ბეჭვდა, შემომდები, სარგებლობა, კალლიგრაფია, სარგებლობა; ხელოვნება გამოქანდაკებისა... მუზიკა: ისტორია, სტეპა-და-სტეპა გვირნი საკრავნი, სტეპა-და-სტეპანი სიმღერანი; ძველი ქართული საკრავები, ტანცილობა, ისტორია, სარგებლობა, ქართული ცეკვა, ლეკური... ბაზიერობა, თანამდებობა ბაზიერისა, სახადირო ფრინველნი, როგორ უხდა ნადირობა, სნეულებანი, სახადირო ძაღლები... პოეზია: სახადირო ფრინველთა, ხელოვნება, სტისი, ხორები; ქართული სტისები, შერი, ლექსი ჩახრუხაული, (კინ იყო ჩახრუხაძე), ფისტიკაური (რუსთველი როგორ სწორდა), რეული, შეწუბილი, მრკლე შეწუბილი, წყობილი, მრკლე წყობილი, მრჩებლები, მრჩებლები შარეული, შერეული, ჩახრუხაული, შერეული, ჩახრუხაული, მრჩებლები, ფისტიკაური, ძაგნაკანური, ჩახრუხაული, ძაგნაკანური, იაშიძე შემოქმედელისაგან ნათქვამი, ძაჯამა თქმული დიდის მეზე თემურაზისაგან იაშიძე, კახტანგ მეფისა და საბა რებელიანისა, ანტონ კათალიკოზისა, იოანე ფილიოსოფისა და ნიკოლაოზ ტფილელისა, კიდურ-წერილი გაიოზ არქილისა—თავარშვილისა, პეტრე ლარაძისა, ანტონი კათალიკოზისა), ტაქი ზმითი (დარჯან დედოფლისა, გილოგი მეფისა, ქეთევან მეფის სძლისა ენდორნიკაშვილისა, მეფის სოლომონისა, მამა გურიელისა, ქულისდელისა, დავით ადამშენებელისა. (ბეჭვდი), ამილახვარისა, იქე ასეს-ძისა), ანბანთქება (კახტანგ რებელიანისა, ჩახრუხაულად კახტანგ მეფისა), ძებობის სიმღერის ლექსები (მზეჭდებუბ მდიგანბეგის ნათქვამი ქეთევან ბატონიშვილის ძელბაში, ნანინა, მესტიარული, (კიშაშვილისა, განთქმულისა ქართლში, რომელმაც შეასხა ირაკლის ქება) სპარსთა ხმები ქართულის ლექსებით (საათლამასი, ბესარინ გაბაშვილისა, მისივე, ღდეს განდევნა ქართლით იმე-

რეთს), თეჯნიში, (ბესარიონისაკე), თასმისა, (ლეონ ბატონიშვილისა), შაირი (ბესარიონისა მზუქიშეუ მდივანშეგზედა)... გურგარა-
ფია: მატემატიკური, ფიზიკური, პოლიტიკური, მოხარხილი, კერ-
ძოლისთნი გეოგრაფიანი, პორტუგალია, იშპანია, ფრანცია, დიდი
ბრეტანია, გრანიდია, გერმანია, ბოგემია, კენგრია, შვეიცარია, იტა-
ლია, პაპის სამფლობელო, ნეაპოლი, სიცილია, პოუსია. თვითოუე-
ლის გეოგრაფია, ისტორია, მცენარებანი, ხელოვნებანი და სხვანი
და სხვანი მნიშვნელობანი ცხოვრებასა, თავისი შემთხვევათა. ირაკ-
ლის სასახლეში და დადიანთანა ისეთს გასაღდერის კომიგურის სა-
ხითა, რომ შეუძლებელია დავიწყოთ იმისა სიტყვები და საუბარი.
ერთის სიტყვით „გალმასობაში“ არიან მრავალნი ქართველი და-
დის ხელოვნებით გამოსატული, ასე რომ კომიკური მწერალი აუ-
რაცხელს სუჟეტებს ჭრებს პოემათა და კომედიათათვის. თვითოუ-
ელი პირია სიცოცხლით საგვა. ასე გგონიათ, თქვენ თქვენის თვა-
ლით ჭედავთ, თქვენის პირით ებუსაღიებით და იცით უოკელი გა-
რემობა იმის გვარისა და იმისი ცხოვრებისა; ასე გგონიათ, თქვენ
გიცხოვრიათ თვით იმ დროებში. „გალმასობა“ არის სარკე წარსუ-
ლის საუგუნისა. ჩვენ განგებ შეგამოწმეთ ისა ისტორიის თქმულე-
ბათა და არათუ წინააღმდეგობა რაიმე კვლევეთ: ამით ისტორიის მო-
თხოვბანი ბევრით შეიმსებიან. ასეც უნდა იყოს: იოანე ბატონი-
შვილი არათუ იმ საუგუნის კაცი იყო, თითქმის თვითოუელს შე-
მთხვევაშიაც მოხაწილე უოფილა. რადგანაც უაღმატებულესად განა-
თლება ჭრინა, ვინამც სხვათა თანამედროვეთა ისტორიკოსთა, ყო-
ვალიგე საქმე უფრო დაწერილებით და ნათლად ესმიდა. რაგვარად
არიან გამორგვეული სწავლანი და მეცნიერებანი, ესეც უნდა ვთქვათ,
რაცგი საჭიროა, რომ საგანზედ თქვას, უკრებლად იტყვის; თუნდა
ის საგანი არ გესწავლოთ, როის-სამის წაკითხვით, სტულს წარ-
მოდგენას და ცნობას მიღებით იმაზედა. და ეს ნაწილიც დაღ მა-
სასკვდრია თვითოუელისათვის. იოანე იპოდიაკვანი სარგებლობს,
უოკელსაკე შემთხვევასა და ახლად გამოუკანილს კაცია ისე დაუკინებს,

რომ ომელსამე საგანზედ დაუწყოს საუბარი. ჭორმა არის კითხვა-
მიგბითი. გარეულით არიან ნაჩვენები.

ა რა არის „კალმასობა“? ჩვენ არ გვიჩვენებია უცელა სა-
გნები, ომელიც ამაში განმარტებულია არიან, ესე იგი, დააღუ-
კტიდა, მეტატიზიდა; თვითოუეული მიხვდება, რა აზრით არის და-
წერილი „კალმასობა“? აზრი ისაა, ომ სალხში განვრცელდენ
წნობა საქართველოს მდგომარეობაზედ მეთვრამეტ საუკუნეში და
მსოფლიო მეცნიერებას, ომელიც დააღ კასტირებთ. ესკა,
ორმ იოანე ბატონიშვილის დროიდება სწავლას წარმატება და ცვლი-
ლება მიეცა და ამისთვის საჭიროა, ომ „კალმასობას“ დაბეჭდებში
შენიშვნები გაუკეთდეს. „კალმასობას“ ენა არის მსუმშუქი და ცხო-
კელი, მიზიდავი და ადვილებ გასაგონი, ორგორაზაც კარგის სა-
ზოგადოებისათვის, აგრეთვე დაბალის სალხისათვის. ჩენის აზრით,
ასეთის შევენიერის ენით ახლანდელს დროს არავინა სწერს; მკელს
სიტუაციებშიაც მწირე რამ იპოვება „კალმასობას“ ენით დაწე-
რილი. თვით ტონი აქვს დააღ სასიამოვნო. ჩეულებრივი საუბარი,
ომელიც სწავლას არ შეეხება, საესეა ნამდვილის ჭართულის ხუ-
მობიბთა და ოხუნჯობითა. ზურაბ დამბარაშვილი, ომელიც იოანე
სელაშვილთან მოგზაურობს, ყოველთვის მასხარაბს ისე მარი-
ლიანად, რომ არ შეგიძლიანთ სიცილი დაიწიროთ, ოდდესაცემი ის
დაიწეულს ლაპარაკესა: მასხარაბს თავის თავზედ, მასხარაბს იშო-
დავგანზედა, მასხარაბს სსკათზედა. სსკანც მრავალი შირნი
„კალმასობაში“ არ დაუკარდებიან ზურაბსა. იმათ შორის უჩვენებთ
ხორის მცხოვრებსა თთარივება, ირაკლი მეფის მასხარას, რო-
მელსაც იოანე ბერი შექმნდება, შემდეგ დაბრუნებისა კახეთით:
თთარივა უანბობს თავისს, ის შირნ ჰკითხსავს, იოანე მიუგებს,
უსსნის, განუმარტებს. ყოველთვის ერთსა და იმავე საგანზედ ერთს
აადგილს არ ასრულებს, რაც სათქმელი აქვს: სან და სან უბრუნ-
დება, ერთონ დაიწეულს, მეორესთან დაბრულობის. ამას იმისთვის
იქმის, რომ არ დადალოს მკითხავი და მკითხველის უკრადლება.

როგორათაც კსთევით, ისანე ბატონიშვილი არის მაღალის
ნიჭით შემკული. ჰქითხულობით რა „კალმასობასა“ თქვენ არ შე-
იძლება არ მოხვიდეთ განცვათოებაში ავტორის ჭეშმარიტების მსჯე-
ლობითა, სწავლა მეცნიერების სიცრცითა, პლეტურისა და კომი-
კურის აღბეჭდილებითა, დაწვდილებითის ცოდნითა საქართველოს
ჩვეულებათა, შირთა და ისტორიათა. სხვათა საქართველოს ძელთა
და ახალთა მწერლობათა შროის სეუ განსხვავდება „კალმასობას“
ავტორი, როგორათაც განსხვავდება მზე შლახეტია და კარსკვლაკონ
შროის. ისანე არის ჩეენი ჭომერი, ჩეენი დანტე, ჩეენი შექსშირი...
მაგრამ, ჭიშენია ვისმე სიტყვა „კალმასობაზედა“? ამას დარწმუნებით
ვიტყვით, რომ ოთხს კაცს არ წაეკითხოს ეს წიგნი. თვით ჩეენ,
ამ სტატიის ავტორისა, მხოლოდ ახლა ბირველად ვნიხეთ და წავი-
კითხეთ. ერთის ეგზემპლარის მეტიც არსად არის. „კალმასობა“
განიყოფება, როგორათაც მოსხენებულია ორ ნაწილად. პირველი,
რომელიც არის საგნად ამ სტატიისა და ის მოებოვებინა განსხვა-
ნებულს დავით დადასისა და შემდეგ იმისა ეშვენა თ. ალექსანდრე
წერეთელსა. მეორე ნაწილი არ წაგივითხავს, თუმცა ვიცით რა სა-
განიც აქვს: ის შეიცავს იმავე იშოდიავებას მოგზაურობასა იმე-
რეთის მსარეშია და ეჭვი არ არის, ისიც ისე მშენივრად უნდა
იყოს დაწერილი. მეორე ნაწილი აქვს პეტერბურგში მცხოვრებს
ისანე ბატონიშვილის შვილის-შვილსა. ამასაც ვიტყვით, რომ ამ
გვარს წიგნს, (რომ იმაში სწავლა და ჭეენის შირნი და ისტორია-
ზნება იყოს ამ გვარად) კერც ერთს ენაზედ კერა ჭიახავთ, რო-
გოროთაც არც ერთს ხალხს არა აქვს თვითქმის, თვით ბროსისეს
შემოწმებითა, ჩეენის გასუმტის გეოგრაფიისთანა გეოგრაფია. „კა-
ლმასობას“ რომ საგნათ ჭიანდეს სხვა ეკროპის სახელმწიფო და
იყოს დაწერილი ტრანსუზულს ახუ ნემუნცურს ენაზედა, ამაში ჩეენ
ეჭვი არა გვაჭვს, რამდენჯერმე გამოიცემოდა და იმ ჭიახანში, რო-
მელსაც ეპუთვნებოდა, თვითოუზულს ექნებოდა ხელში. „კალმასობას“
უნდა მიგსცეთ ბირველი ადგილი ჭართულს სიტყვიერებაში. „კა-

ლამბასობა“ უღელის ამერ-იმერეთ ხალხში უნდა იპოვებოდეს. „კა-ლამბასობით“ უნდა ჩვენთა ყრმა-ჭიბუჟთ მიღლონ ქართულის ენის სწავლა სასწავლებლებში. „კალმასობა“, არის უძვრბესი ხელ-მძღვა-ნელობა, უძვრობესი ქრისტიანობა...

მართლა და დორ არის კითიქროთ ჩვენის ენისათვის. უჩვე-ნოთ ჩვენ რანი კართ. ენა არის ადამიანის უპირველესი და უპი-თლაშობილების ნაწილი. იმისი გამოისატების ჩვენი სისიათი, ჩვენი წარსელი სვე, ჩვენი ღრატსებანი და ნაკლულებანებანი; იმით კართ დაკავშირებულია ერთი ერთმანეთზედა; უმისისოდ არც მამულის სი-უკარგული შეიძლება და არც სხვანი მოქმედებანი საზოგადო-სასარ-გებლოდ. აწინდელის დორში უღელგან გრძნობენ სმაშობლო ენათ სწავლის საჭიროებასა; უღელგან შაუდგებანი ღლისძიების მოზო-ებასა, რომ ენა განვრცელდეს და დამჯარდეს. მივხედოთ ჩვენთა უქაველესთა მმათა და მეზობელთა—სომეხთა. კიცით, რა გვარი უ-რადღება და მზრუნველობა აქვთ თავიანთ ენისათვის. მხოლოდ ჩვენ ქართველი კართ გულ-გრილად ამ საგანზედა. ჩვენი ენა უფრო და უფრო სუსტდება. თუ ამ მდგომარეობისაგან არ გამოვალთ, საკ-მარა ნახევარ-საუკუნე, რომ ის სრულებით დაემსის. კისდა შა-უძლიან ჩვენში სოჭეს, ენა კიცით. განა ის ცოდნა ცოდნაა, რომ თვითოული გეღარ ფიქრობს თავისის ენის კანონებთაებრ და თუ ჯერ რესტურად არ მოიაზრა, არ შეუძლიან დაწეროს რამე პირ და პირ ქართველად. ჩვენ მწერალთ სიტყვათ-მცემანი და ფრაზებთ-წყო-ბილებანი რიანს რესულნი. ამ უამაღ რომ ერთი მცოდნეთაგანი ჩვენი წინაპარი საფლავით დაგეს და გადაავლოს თვალი „წისგარსა“ რას იყიდულდე? გვიცნებდადა ჩვენ ქართველებს?...

არც შეიძლება, რომ ასე არ იყოს. ქართველი მეტენ-ერება დაკიწუებაში გააქვს; უმაწვილესაცობა თითქმის თავილობს იმის კითხვასა. ძევლი წიგნების კოხება რა სასარგებლო არისო, მაშინ როდესაც აწინდელი ენა დამეურებულია ძევლზედა, როგორათაც სა-ფუტკელზედა. ენის სახლის აშენება შეუძლებელია, თუ ჯერ სა-

ფუძეელი არ დაიდო, ესე იგი, თუ ჯერ ძველი სიტუკიერება არ მიითვისა. მიზეზიც ეს არის, ორმ ძველი წიგნები, რომელზედაც უშრომიათ ჩვენ წინაპართა, გაბნეულია სხვა და სხვა ამერ-იმერთა სახლებში, სადაც ზანდუქებში და ორმოებში დასკება. ამას სიცორუვით არ კანბობთ. ჩვენ თვითან ვიცნობთ რამდენთამე ჰირთა, რომელთა მამათაც მოღვაწეობა დაუდვიათ ძველ წერილთ შეკრებაზედა და იმათნი შვალნი არა თუ თვითთხ არა კითხულობებს, არცარკეს ასარგელებენ, და ამისთვის ანუ მტკერში და ნაგავში უყრიათ, როგორათაც სვანების თავიანთი ხატები შებოლლილს კრშებში, ანუ მიწაში აჭვთ და-ფლული. მრავალნი თარგმნილნი სხვა და სხვა ენით და თვით ქართველთაგან ნაშრომნი წერილნი უფლისა ამერ-იმერეთში. კეთილ-გონიერად დაწესებულს ქვეყნაში იმ გვარი წიგნებით თვით ქვეყნა ეპუთვნიან და იკრიფებიან ბიბლიოტეკებში, სადაც თვითოუეულის სა-სარგებლოდ არიან. ჩვენ ქართველთ ეს წესი არ გასქმის. ჩვენში ძველ წიგნებთა მესახედი ნაწილი აღარსად არის. სხვა სულ გატანილია და დაბნეული. კის არ გაუგონია, როგორი ბიბლიოტეკა ჭრონდა და-ვით დადინისა შედგენილი ზუგდიდში. არ იქნა?... რაც აქ მო-კიხესენეთ, რას გვიმტკიცებს, თუ არ ჩვენს გულგრილობასა ენისადმი. ა სხვა ფუტიც: საქართველოს-იმერეთის სასწავლებლებში საწა-კლიან ქართულს ენასა: ეს მართალია, მაგრამ როგორ ასწავლიან? ჯერ ერთი ესა, რომ თვით მასწავლებელთ ისე იციან, როგორათაც მოსწავლეთ, ამაზედ უნდა დარწმუნებულნი ვიყენეთ; გარდა ამისა სახელმძღვანელოთ არის მიღებული გრამმატიკა, დაწერილი რესულ ენაზედ რესტ მოსწავლეთათვის. ქართველთ ყმაწვილთაგან ქართულის სწავლა რესულის გრამმატიკით,— ამაზედ რას ბძანებთ?... ან ფი-ქონას ვინმე ამაზედა? მააჭცეს ამის საზოგადოება უურადღებასა? ჩვენნი თავად-აზნაურნი სამს წელიწადში ერთხელ იკრიფებიან ტფა-ლისში და ჭეთასში, კენჭის ურისათვის—თვითოუეულმა იციას. პრე-ტექზიები მრავალი გაგსმის გრართვებობაზედა, იმათ მომდინარეობაზედა, თვით ქრისტეს დროიდგან, დიდ-კაცობაზედა, ჩვენ ქართ

საფუძველი მამულისა, ჩვენ ამაღა-ამ გვარის შირნი შირების უნდა კიენეთო, ამა-და-ამ დაბალმა თავადმა და აზხაურმა ოოგორ უნდა ხმა ამოიღოს საცა ჩვენა კართო, უნიგერსიტეტის სწავლა რა ფე-სებიათ... ამ გვარის შრეტენზიებით იწყობა და თავდება კენჭის-ერა. ნამდვილი მოქალაქეობა სადღაა! არ განვაკრცელებთ სიტყვასა: ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, ოომ უურადღება ენის სწავლაზედ შვრ-ლებში შირების მოვალეობა უნდა იყოს თავად-აზხაურთა და მათ შეურილობათათვის კენჭის ურაში... და ას ას კერ შეიძლებს საზო-გადო ხმა და მოთხოვნილება...

ასე გულ-გრილად რომ არ ვიყენეთ ჩვენს ენაზედ, ჩვენი ძე-ლის წიგნებით აქამდე რა საკვირებელია ერთი თუ ორი ბიბლი-ოტება და უფუძლებოდა ქუთასიში და ტივილისში, და უოველივე, რაცენ ვისმე ამ გვარი რამე დაშორება მამა პაპათაგან, იმ ბიბლიოთეკაში წარმოიგზავნებოდა. ღონისძიებასაც მოვიხმარებდით, რომ შესანი-შნავი იმ წიგნებთაგანი დაბეჭდილიყო. „გალმასობა“ რამდენჯერმე გამოიცემოდა — და განვრცელებული იქნებოდა, რაც არის „გალ-მასობა“ უტესებდა უნდა დაბეჭდოს. ამ განზრახვით ქუთასიში შესდგა მსურებელთაგან ქართული ტრუპება და ვ-ს მარტს წარმო-დგენილ იქნა „გაურა“ თ. ერისთავისა; ნააღმდეგომეგსაც აშირებენ რას-სამს წარმოდგენისა, ფულის შესამსებლად, თუ ეს განზრახ-ვა არ აღსრულდება, „გალმასობის“ დასაბეჭდავად უნდა შესდგეს ხელის-მოწერა მაინც „ცისკრის“ რედაქციაში და შირების გასუი-დევათ დაბეჭდოს მეორე და შემდეგ მეორის ნაწილისა საბა ორ-ბეჭდიანის ლექსიკონი.

დიმ. ბაქრაძე.

894.63.09

3 325